| პოგრამის დასახელება | | კოდი | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | | | | **5,0** (სავარაუდო) |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდული აქტივობის და არაფორმალური განათლების სფეროში ახალგაზრდების მასობრივ ჩართულობას, ახალგაზრდების ინტელექტუალური უნარების წარმოჩენას, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენას, მოტივირებას, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და მათი პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას.<br><br>პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ.<br>პროგრამა შედგება შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან:<br>- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა;<br>- მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა;<br><br>-მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ორგანიზაციული მხარდაჭერა.<br><br>ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;<br><br>მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გლოლის, ღების, უწერის და ჭიორის სოფლებიდან (მოკვლევა უნდა რომლებს სჭირდებათ) მოხდება მოსწავლეების ტრანსპორტირება;<br><br>-მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ორგანიზაციული მხარდაჭერის ქვეპროგრამა გულისხმობს: მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების ტრანსპორტირება საბჭოს შეხვედრებზე და მათი გადაადგილება სხვადასხვა სოფელში წლის განმავლობაში ახალგაზრდებთან შესახვედრად; | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; | | | |

| | |
|---|---|
| | ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; |